მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №14

ქ. მარტვილი 23 ივნისი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, პაატა პიტახია, გოჩა ჯიქია, დათო ხელაია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, ზაურ ჯახუა, მიხეილ ნაჭყებია, ნათია ქაჯაია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა, სერგი ფაცაცია.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ხურცილავა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აღნიშნულზე აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 30, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის განკარგულება №50 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - გარე განათების ბოძების, შპს ,,მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;
   /მომხსენებელი - თამარ ციცხვაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სპეციალსტი/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 5460 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2; №3; №4 ნაგებობები ს/კ: 41.09.40.494) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
5. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   /მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო დაიურიდიულ საკითხტა კომისიის თავმჯდომარე/

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის მე-2 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სპეციალსტის თამარ ციცხვაიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - გარე განათების ბოძების, შპს ,,მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ 2020 წლის 6 იანვარს, შპს ,,მაგთიკომს“ და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, მარტვილის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 936 ცალ გარე განათების ბოძებზე კონსტრუქციის ნაწილის ქირავნობაზე ოპტიკური კაბელის განთავსებასთან დაკავშირებით, რომლის მოქმედების ვადა ამოიწურა 2022 წლის 6 იანვარს, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს მაგთიკომის წარმომადგენლებმა მოგვმართა თხოვნით აღნიშნული ხელშეკრულების 2027 წლის 6 იანვრამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: აკაკი ხუნწელიამ დასვა კითხვა საიჯარო ქირად რა რაოდენობის თანხაა განსაზღვრული, რაზეც თამარ ციცხვაიამ უპასუხა, რომ საიჯარო ქირად თითოეულ ბოძზე განსაზღვრულია 2.5 ლარი ყოველწლიურად თითოეულ ბოძზე.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 30, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - გარე განათების ბოძების, შპს ,,მაგთიკომი“-ისთვის

პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - გარე განათების ბოძების, შპს ,,მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით პირობით გაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის განკარგულება №51 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის მე-3 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 5460 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2; №3; №4 ნაგებობები ს/კ: 41.09.40.494) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ საკითი ეხებოდა ნახარებაოს ბაღის საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 30, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 5460 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2; №3; №4 ნაგებობები ს/კ: 41.09.40.494) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით: 5460 კვ.მ და მასზე განთავსებული №1; №2; №3; №4 ნაგებობები ს/კ: 41.09.40.494) მარტვილის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრისთვის ს.ნ. 235447628 უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის განკარგულება №52 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის მე-4 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30-მა წევრმა.

მოისმინეს 4: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმუშავა გენდერული თანასწორობის საბჭოს საინიციატივო ჯგუფმა და გააცნო 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გენდერული კუთით შეხვედრებზე იმყოფებოდა საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში შოთა კეკელია და ამ კუთხით სამოქმედო გეგმის პროექტი გვაქვს ჩვენ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 30, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ღონისძიებათა 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის განკარგულება №53 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა საკითხის მე-5 საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა.

მოისმინეს 5: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხტა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაზე სამართლებრივი შენიშვნის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოვიდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ გარკვეული შენიშვნები, რაც გათვალისწინებულ იქნა კერძოდ: ამოღებულ იქნას სიტყვები საპატიო და არასაპატიო მიზეზები და ამ დანართის პირველი მუხლის ,,ა“ და ,,გ“ პუნქტის გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიის სხდომებში დეპუტატების დასწრების აღრიცხვა, ხოლო დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, დროებითი სამუშაო ჯგუფში დეპუტატების მონაწილეობის აღრიცხვას და ყოველი თვის ბოლო რიცხში საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენენ წერილობით ინფორმაციას.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 30, წინააღმდეგი 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 ივნისის დადგენილება №18 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე. ლევან სურმავა